



ფინანსური აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“13” ივლისი “ 2018 წელი

N 40/36 ეგზ:1

“ვაშტიკიბა”

საერთო დანიშნულების სახელმწიფო
მომსახურების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი კეკელიშვილი

შერიგებისა და სამოქალაქო
თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო
მინისტრის აპარატი

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისათვის

სარჩევი

ინფორმაცია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შესახებ	3
1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი	4
1.2.1 გრძელვადიანი აქტივები.....	4
2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები	6
2.1 შრომის ანაზღაურება	6
2.1.1 დანამატები.....	6
2.2 ხარჯების არასწორი კლასიფიცირება	7
2.3 გამოვლენილი კონტროლის სისუსტეები.....	7
2.4 გაწეული ხარჯიდან მისაღები სარგებელი	7
2.5 ნაკლოვანებები აქტივების მართვაში	7
2.6 დანაკლისები	8
2.7 სარეზერვო ფონდები.....	8
3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე.....	8
4. აუდიტორის პასუხისმგებლობა	9
ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი).....	11
ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება.....	12
ფორმა N3. ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიშგება	13
ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება	14
ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხის შედარების ანგარიშგება.....	15
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის განმარტებითი შენიშვნები.....	16

ინფორმაცია შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის შესახებ

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი (შემდგომში “აპარატი”) შექმნილია „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლისა და „საქართველოს მთავრობაში სახელმწიფო მინისტრის თანამდებობების შემოღების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №310 დადგენილების შესაბამისად, რომელიც მიზნობრივ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს.

აპარატის სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის წარდგენით, განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა, რომელიც ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სახელმწიფო მინისტრის აპარატის საქმიანობის სფეროს განეკუთვნება:

- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ხელშეწყობა: აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის საქართველოს ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში რეინტეგრაცია;
- ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირის და მისი შთამომავლების ღირსეული, უსაფრთხო და ნებაყოფლობითი დაბრუნებისა და მათი უფლებების დაცვის ხელშეწყობა;
- საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა; სამოქალაქო ინტეგრაციული პროცესების წარმართვა;

სახელმწიფო მინისტრს ჰყავს პირველი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს სახელმწიფო მინისტრი, სამი დეპარტამენტის უფროსი, მრჩეველები, რომლებიც უზრუნველყოფენ აპარატის დებულებით დაკისრებული მოვალეობის შესრულებას.

2017 წელს გაწეული დანახარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის პირველი თანრიგის მუხლების მიხედვით მოყვანილია ცხრილში.

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	საკასო	შესრულება
აპარატი	1,215,000	1,837,015	1,834,103	100%
ხარჯები	1,188,000	1,608,365	1,605,594	100%
შრომის ანაზღაურება	700,000	700,000	699,890	100%
საქონელი და მომსახურება	480,000	548,721	546,460	100%
სუბსიდიები	-	213,644	213,576	100%
სოც. უზრუნველყოფა	4,000	142,000	141,886	100%
სხვა ხარჯები	4,000	4,000	3,781	95%
არაფინანსური აქტ. ზრდა	27,000	228,650	228,509	100%

2017 წლის განმავლობაში აპარატს მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გამოეყო 601,644 ლარის ოდენობის დაფინანსება, საიდანაც „საქონელი და მომსახურების მუხლით“ გამოყოფილ იქნა 28,350 ლარი, „სუბსიდიების“ მუხლით 213,644 ლარი, „სოციალური ხარჯების“ მუხლით -138,000 ლარი, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით -221,650 ლარი.

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობას

1.1 პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებას ასევე მათთან დაკავშირებულ დანართებს¹ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველზე აღწერილი საკითხების ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით სამართლიანად ასახავს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

1.2 პირობითი მოსაზრების საფუძველი

1.2.1 გრძელვადიანი აქტივები

2017 წელს აპარატში არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია, რაც შეუსაბამოა არსებულ რეგულაციებთან². ჩვენ ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მივიღეთ საკმარისი აუდიტორული რწმუნება, ფორმა N1-ში „სხვა მანქანა-დანადგარების“ საბალანსო ანგარიშზე რიცხული 46,709 ლარის და საცნობარო მუხლებში³ რიცხული 301,355 ლარის ოდენობის ნაშთის არსებობასა და სისრულეზე.

აპარატის 2017 წლის ბალანსში საწყის ნაშთად, არასწორად იყო კლასიფიცირებული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამისათვის (UNDP) გადასაცემად განკუთვნილი 37,452 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, როგორც „გრძელვადიანი აქტივები“⁴ ნაცვლად „მოკლევადიანი აქტივებისა“⁵.

აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული პასუხისმგებლობები დეტალურად არის აღწერილი ანგარიშის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“ - ნაწილში.

¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება, დანართები 1-დან 13-მდე.

² საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ

³ საცნობარო მუხლი (08), „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“; (10) „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები.

⁴ საბალანსო ანგარიში „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ (ანგარიში N2122);

⁵ „შემდგომი რეალიზაციისთვის შეძენილი საქონელი“ (ანგარიში N1624).

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) ეთიკის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისაგან დამოუკიდებელი აუდიტორები. ამასთანავე, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია პირობითი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლების შესაქმნელად.

2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 შრომის ანაზღაურება

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2017 წელს აპარატის შრომის ანაზღაურების ხარჯების შესახებ ინფორმაცია:

დასახელება	დამტკიც საშტატო რიცხოვნ.	ფაქტობრივად დასაქმებულთ ა რიცხოვნობა	დამტკ. ბიუჯეტი	საკასო ხარჯი	სხვაობა	%
	1	2	3	4	(3-4)	5
თანამშრომელთა რაოდენობა	31	26			5	16
თანამდებობრივი სარგო			568,080	470,410	-97,670	83
პრემია			14,920	51,810	36,890	347
დანამატი			117,000	177,670	60,670	152
სულ შრომის ანაზღაურება			700,000	699,890	-110	

დაგეგმვის ეტაპზე საშტატო რიცხოვნობა მნიშვნელოვნად არ უნდა აჭარბებდეს წლის განმავლობაში ფაქტიურად დასაქმებულთა რაოდენობას. აღნიშნულის გამო, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გათვალისწინებული გადასახდელები შესაძლოა აუთვისებელი დარჩეს ან გადანაწილდეს მუხლს შიგნით, პრემიებისა და დანამატების გასაცემად, რაც არ შეიძლება მისაღებ პრაქტიკად ჩაითვალოს.

2017 წელს ფაქტობრივად დასაქმებულთა საშუალო წლიურმა რიცხოვნობამ 26 თანამშრომელი, ხოლო წარმოქმნილმა ეკონომიამ 97,670 ლარი შეადგინა, საიდანაც 36,890 ლარი გაიცა პრემიის, ხოლო 60,670 ლარი დანამატის სახით.

2.1.1 დანამატები

„საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის თანახმად, სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელს უფლება აქვს მოხელეს ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ყოველწლიურად შრომის ანაზღაურების ფონდში წარმოქმნილი ეკონომიის ფარგლებში, დადგენილი წესით, საფინანსო წლის განმავლობაში დაუწესოს სხვა დანამატები. დანამატის გაცემისას, უნდა დასაბუთდეს თითოეული მოხელის მიერ შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაო ან განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვა.

აპარატში „დანამატები“, „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეული მთლიანი ხარჯის 25%-ს შეადგენდა. იგი გაიცემოდა გარკვეულ თანამშრომლებზე ყოველთვიური ბრძანების საფუძველზე, ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვისთვის. დამატებითი საზღაურის გაცემის დასაბუთება (მოხსენებითი ბარათები) აპარატში ვერ იქნა წარმოდგენილი, ვინაიდან გამოცემული ბრძანებები იყო ზოგადი ხასიათის და არ შეიცავდა ინფორმაციას, თუ რა კონკრეტული სამუშაოს შესრულებისათვის მიიღო მოხელემ „დანამატი“. აღნიშნული ქვემუხლით გაწეული ხარჯი ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს შინაარსს ატარებდა.

2.2 ხარჯების არასწორი კლასიფიცირება

საბიუჯეტო კლასიფიკატორის მიხედვით⁷, წარმომადგენლობით ხარჯებს მიეკუთვნება სტუმრების მიღებაზე გაწეული სუვენირების შეძენის/დამზადების ხარჯები.

აპარატის მიერ 2017 წელს სხვადასხვა ორგანიზაციებსა და ფიზიკურ პირებზე საჩუქრის სახით გადაცემული 5,602 ლარის ღირებულების აქტივები არასწორად იყო კლასიფიცირებული „წარმომადგენლობითი ხარჯების“ ქვემუხლით, ნაცვლად „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ ქვემუხლისა.

2.3 გამოვლენილი კონტროლის სისუსტეები

აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით⁸, საბიუჯეტო ორგანიზაციამ უნდა შეიმუშაოს ეკონომიკური მოვლენების ამსახველი დოკუმენტების წარმოების მექანიზმები და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს ფინანსური მართვის და კონტროლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

აპარატში წარმომადგენლობითი ხარჯების გაწევისას არ არის დაცული ერთგვაროვანი მიდგომა, ნაწილი ხარჯებისა გაწეულია მინისტრის შესაბამისი ბრძანების გარეშე.

წარმომადგენლობითი ხარჯების საფუძვლად მომზადებული მოხსენებითი ბარათები, ხშირ შემთხვევაში სრულად არ ასახავდა მოწვეული სტუმრების ვინაობას, სტატუსს, რაოდენობას, გასაწევი ხარჯის სავარაუდო ოდენობას. შესაფერისი კონტროლის მექანიზმის არ არსებობის გამო, შეზღუდულია საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობა.

2.4 გაწეული ხარჯიდან მისაღები სარგებელი

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის რაციონალობისა და ეფექტიანობის პრინციპის უზრუნველსაყოფად, ორგანიზაციამ ხარჯის გაწევამდე უნდა ჩაატაროს სათანადო დაგეგმვის პროცედურები და წინასწარ განსაზღვროს გასაწევი ხარჯიდან მისაღები შედეგი და ეკონომიკური სარგებელი.

2017 წელს აპარატმა 37,732 ლარით დააფინანსა პროექტი „დაჩაგრულები“. პროექტის მიხედვით, 2017 წლის 28 აგვისტოსთვისთვის უნდა განხორციელებულიყო 24 ტომისაგან შედგენილი „კომიქსების“ შექმნა და დაბეჭდვა, რომელიც - „ასახავდა შუასაუკუნეების ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს და ხელს შეუწყობდა ორ მომძევეს შორის წარმოქმნილი ურთიერთობის მოგვარებას“. თუმცა ხელშეკრულების პირობებში არ ყოფილა დაკონკრეტებული კომიქსების დაბეჭდვასთან დაკავშირებული დეტალები, კერძოდ დაბეჭდილი კომიქსების ტირაჟი და გავრცელების პირობები. მიუხედავად იმისა, რომ კომიქსები შეიქმნა, არ მომზადრა მისი ბეჭდვა, ასევე არც 2018 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით არის გათვალისწინებული აღნიშნული კომიქსების ბეჭდვის ხარჯი. შესაბამისად, 2017 წლის განმავლობაში 37,732 ლარის ოდენობის ხარჯს რაიმე შედეგი ჯერ არ მოუტანია, რაც მიუთითებს ფინანსების მართვისას „დროში ფულის ღირებულების“ (Future Value) პრინციპის უგულვებელყოფას.

2.5 ნაკლოვანებები აქტივების მართვაში

აქტივების გადაცემისა და განკარგვის დოკუმენტაცია უნდა უზრუნველყოფდეს აქტივების მიზნობრივად განკარგვას და მათ მაქსიმალურ დაცულობას. სათანადოდ უნდა იყოს ასახული ინფორმაცია გადასაცემი აქტივების დანიშნულების, გამოყენების არეალისა და საბოლოო მიმღების

7 „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანების ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მეთოდური განმარტებების მუხლი „წარმომადგენლობითი ხარჯები“ (224)

8 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ინსტრუქციის მუხლი N4.

შესახებ. დოკუმენტაცია ასევე უნდა შეიცავდეს კონტროლისთვის ქმედით მექანიზმებს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

2017 წელს აპარატს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამისათვის (UNDP) გადაცემული აქვს 2 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მოსახლეობაზე გადასაცემად, ჯამური ღირებულებით 74,548 ლარი. ხელშეკრულებების თანახმად, UNDP-ს ვალდებულებას წარმოადგენდა მიღებიდან არაუმეტეს 15 დღის ვადაში ტექნიკის მოსახლეობაზე გადაცემა, ხოლო გადაცემიდან არაუმეტეს 2 თვის ვადაში აპარატისათვის შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა. გადაცემულ ტექნიკაზე ინფორმაციის წარმოდგენა არ განხორციელებულა. შესაბამისად, ვერ მოვიპოვეთ საკმარისი მტკიცებულება აღნიშნული ტექნიკის განკარგვით მიღებული შედეგების შესახებ.

2.6 დანაკლისები

2011 წლიდან საბალანსო ნაშთზე („მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“) დანაკლისად ირიცხება ჯამურად 1,468 ლარი, რაც წარმოადგენს ლეპტოპისა და მობილური ტელეფონის თანხას. აპარატს დანაკლისის მიღების მიზნით არავითარი კანონმდებლობით გათვალისწინებული⁹ ღონისძიება არ გაუტარებია.

2.7 სარეზერვო ფონდები

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად, პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან სახსრები გამოიყოფა გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად¹⁰.

2017 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მთავრობის განკარგულებით¹¹, გამოეყო დაფინანსება არაქართულენოვან გაზეთებს (სომხურენოვანი „ვრასტანი“ და აზერბაიჯანულენოვანი „გურჯისტანი“), თითოეულს 60,000 ლარის ოდენობით. აპარატის მიერ აღნიშნული გაზეთები 2014 წლიდან სისტემატიურად ფინანსდება მთავრობის სარეზერვო ფონდიდან, რაც არ წარმოადგენს გაუთვალისწინებელ გადასახდელებს და დაფინანსების გათვალისწინება შესაძლებელია მომხადრიყო ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.

3. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელება ვალდებულია შეაფასოს ერთეულის ფუნქციონირებადობის (საჯარო მომსახურების უწყვეტად მიწოდების) უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენებასთან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც განზრახულია ერთეულის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან ასეთი ქმედების რეალური ალტერნატივა არ არსებობს.

⁹ საქართველოს პრეზიდენტი 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლი;

¹⁰ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 28-ე მუხლის მე-2-ე პუნქტი

¹¹ მთავრობის 2017 წლის 31 მარტის N631 განკარგულება

4. აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული მსჯელობის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. ამასთან, ჩვენ აგრეთვე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისათვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისათვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისათვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან დანერგილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისათვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის (უწყვეტობის) პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ვადგენთ არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფუნქციონირებადობასთან (უწყვეტობასთან) დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილია აღნიშნული განუსაზღვრელობები, ან თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის - გამოვთქვათ მოდიფიცირებული მოსაზრება. ჩვენი დასკვნები

ეყრდნობა აუდიტის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, აუდიტის დასკვნის თარიღის შემდგომი მოვლენების ან პირობების გავლენით, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი შესაძლოა აღარ იყოს ფუნქციონირებადი ერთეული.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით; აგრეთვე, უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორთა ხელმოწერა:
სახელი, გვარი

ნესტან ჯანელიძე
(უფროსი აუდიტორი)

შალვა ჯავახიშვილი
(უფროსი აუდიტორი)

ხელმოწერა




ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება (ბალანსი)

დასახელება	31.12.2017	31.12.2016
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	-	-
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	-	-
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	47,936	31,187
სხვა მატერიალური მარაგები	600	600
სულ მოკლევადიანი აქტივები	48,536	31,787
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	-	-
სტრატეგიული მარაგები	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	-	-
ძირითადი აქტივები	1,150,608	317,616
ფასეულობები	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	1,150,608	317,616
ბალანსი	1,199,144	349,403
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	-	-
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	235	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	235	-
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	-	-
სულ ვალდებულებები	235	-
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	1,198,909	349,403
გაუნაწილებელი მოგება	-	-
დაუფარავი ზარალი	-	-
სულ კაპიტალი	1,198,909	349,403
ბალანსი	1,199,144	349,403

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

დასახელება (ლარი)	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ	2016 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	1,834,103		1,834,103	-
შემოსავლები	753,264	-	753,264	-
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	748,456	-	748,456	-
სხვა შემოსავლები	4,808	-	4,808	-
ა) ქონებასთან დაკავშირებული შემოსავლები	-	-	-	-
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	-	-	-
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	-	-	-	-
დ) ნებაყოფლობითი ტრანსფერ, გარდა გრანტებისა	-	-	-	-
ე) სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	-	-	-	-
სულ	2,587,367	-	2,587,367	-
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	699,890	-	699,890	-
საქონელი და მომსახურება	553,897	-	553,897	-
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	60,962	-	60,962	-
პროცენტი	-	-	-	-
სუბსიდიები	196,828	-	196,828	-
გრანტები	80,616	-	80,616	-
სოციალური უზრუნველყოფა	141,886	-	141,886	-
სხვა ხარჯები	3,782	-	3,782	-
სულ	1,737,861	-	1,737,861	-
ფინანსური შედეგი	849,506	-	849,506	-

ფორმა N3. ფულადი მოძრაობის შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	849,506	-	-	849,506
კორექტირებები:	(620,997)	-	-	(620,997)
ცვეთა (+)	60,962	-	-	60,962
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(665,445)	-	-	(665,445)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	-	-	-	-
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	-	-	-	-
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	(16,749)	-	-	(16,749)
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	235	-	-	235
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	228,509	-	-	228,509
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	228,509	-	-	228,509
ძირითადი აქტივები	228,509	-	-	228,509
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
წმ. ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(228,509)	-	-	(228,509)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		-	-	
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	(0)	-	-	(0)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	-	-	-	-
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	-	-	-	-

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშგება

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
ნაშთი წლის დასაწყისისათვის	349,403	-	349,403
არასაოპერაციო შემოსავლები	-	-	-
კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-	-	-
არასაოპერაციო ხარჯები	-	-	-
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	-	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	-	-	-
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	-	-	-
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	-	-	-
მოგების გადასახადი	-	-	-
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	849,506	-	849,506
ნაშთი წლის ბოლოს	1,198,909	-	1,198,909

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხის შედარების ანგარიშგება

დასახელება	დამტკიცებული ბიუჯეტით	დაზუსტე ბული გეგმით	გადახრა % დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმას შორის	საკასო ხარჯი	გადახრა % დაზუსტებულ გეგმასა და საკასო ხარჯს შორის	ფაქტობ რივი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ და საკასო ხარჯს შორის
ხარჯები	1,188,000	1,608,365	35.38%	1,605,594	(0.17%)	1,737,861	132,267
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	700,000	700,000	0%	699,890	(0.02%)	699,890	0
არაფინანსური აქტივების ზრდა	27,000	228,650	746.85%	228,509	(0.06%)	228,509	0
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-		-		-	-
ვალდებულებების კლება	-	-	-	-	-	-	-

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის განმარტებითი შენიშვნები

შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური გეგმა შეადგენს 1,215,000 ლარს. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,837,015 ლარი. გეგმის ზრდა გამოწვეულია მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი სახსრების (601,644 ლარი) და ასევე მიზნობრივი გრანტის სახით გამოყოფილი ფულადი სახსრების (20,371 ლარი) მიღების შედეგად. საანგარიშო პერიოდის დაზუსტებული გეგმით ბიუჯეტიდან მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 1,834,104 ლარი, მათ შორის:

შრომის ანაზღაურების მუხლით - 699,890 ლარი,

საქონელი და მომსახურების მუხლით - 546,461 ლარი,

სუბსიდიების მუხლით - 213,576 ლარი,

სოციალური უზრუნველყოფის მუხლით - 141,886 ლარი,

სხვა ხარჯების მუხლით - 3,782 ლარი,

არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით - 228,509 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრისთვის შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის კაპიტალის წმინდა ღირებულება გაიზარდა 849,506 ლარით და შეადგინა 1,198,909 ლარი.

ბალანსის დანართი N1-ის არაფინანსური აქტივების საწყისი და საბოლოო ნაშთები შეესაბამება დანართი N5-ის შესაბამისი ანგარიშების საწყის და საბოლოო ნაშთებს.

ბალანსის დანართი N2-ში საკასო და ფაქტობრივ ხარჯებს შორის სხვაობა:

ოფისის ხარჯები

საკასო და ფაქტიურ ხარჯებს შორის გადახრა შეადგენს 7,202 ლარს, რაც წარმოადგენს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ საანგარიშო პერიოდში გადმოცემულ გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივის ჯამს, რომელიც ჩამოიწერა ხარჯების შესაბამის მუხლში.

წარმომადგენლობითი ხარჯები

საკასო და ფაქტიურ ხარჯებს შორის გადახრა შეადგენს 235 ლარს. მიზნობრივი გრანტის დაფინანსებით გათვალისწინებული პროექტის ფარგლებში გაწეული იქნა მომსახურება სხვადასხვა მომწოდებლებისაგან და დონორის მიერ მომწოდებლების მიმართ დავალიანების სრულად დასაფარად არ იქნა გადმორიცხული საკმარისი თანხა. შესაბამისად, გადაუხდელი 235 ლარი დარჩა აპარატის ბალანსზე, როგორც კრედიტორული დავალიანება.

სუბსიდიები

საკასო და ფაქტიურ ხარჯებს შორის გადახრა შეადგენს 16,748 ლარს. 2017 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან აპარატს გამოეყო 120,000 ლარი არაქართულენოვანი გაზეთების

ფუნქციონირების ხელშეწყობისთვის ფინანსური დახმარების მიზნით. თანხა ათვისებული იქნა ეტაპობრივად. დარჩენილი ასათვისებელი თანხა 2017 წლის ბოლოსთვის შეადგენს 16,748 ლარს.

ბალანსის ანგარიში „მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით“ (ანგარიშიN1431) საანგარიშო პერიოდში შეადგენს 46,468 ლარს. 2017 წელს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხის ათვისება და შესაბამისად, ხარჯებში ჩამოწერა მიმდინარეობს ეტაპობრივად.

ბალანსის ანგარიში „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ (ანგარიშიN1440) საანგარიშო პერიოდში უცვლელია და შეადგენს 1,468 ლარს.

ბალანსის ანგარიში „ფულადი დოკუმენტები“ (ანგარიშიN1625) 600 ლარი, უცვლელია და წარმოადგენს ფულადი დოკუმენტების (ასტრა ბარათები) ნაშთს.

ბალანსის ანგარიში „არასაცხოვრებელი შენობები“ (ანგარიშიN2112) გაზრდილია და შეადგენს 988717 ლარს. შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს განსათავსებლად ბალანსზე გადმოეცა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის შენობის ფართის ნაწილი. აღნიშნული ოპერაცია ასახულია ბალანსის შესაბამის დანართებში (დანართი#2, დანართი#5) გრანტებით მიღებაში 704,157 ლარზე.

ბალანსის ანგარიში „სატრანსპორტო საშუალებები“ (ანგარიშიN2121) წლის ბოლოს დარიცხული ცვეთის გათვალისწინებით შეადგენს 90,240 ლარს.

ბალანსის ანგარიში „სხვა მანქანა დანადგარები და ინვენტარი“ (ანგარიშიN2122) საანგარიშო პერიოდში შემცირებულია და შეადგენს 69,103 ლარს. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამისთვის (UNDP) აპარატის მიერ გადაცემული იქნა ორი ერთეული აქტივი-ტრაქტორი და გუთანი ჯამური ღირებულებით - 75,808 ლარი. აქტივების გადაცემა ასახულია დანართი#5-ში გრანტით გასვლაში.

ბალანსის ანგარიში „არამატერიალური ძირითადი აქტივები“ (ანგარიშიN2132) საანგარიშო პერიოდში ცვეთის გათვალისწინებით შეადგენს 2,548 ლარს.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო მინისტრის აპარატს მიღებული აქვს 748,455 ლარის ღირებულების სასაქონლო გრანტი, მათ შორის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან საოფისე ფართი-704,157 ლარი და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი - 7,202 ლარი; ასევე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მიღებულია ტრაქტორი და გუთანი ჯამური ღირებულებით 37,096 ლარი. ზემოთჩამოთვლილი აქტივების მიღება ასახულია ბალანსის შესაბამის დანართებში (დანართი #2; დანართი #5; დანართი#13). აპარატს სასაქონლო გრანტის სახით ასევე გაცემული აქვს 80,615 ლარის ღირებულების აქტივი, მათ შორის: მომსახურების სააგენტოს გადაეცა მეორადი სამშენებლო მასალები - 4,808 ლარი; გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამისთვის (UNDP) - 74,547 ლარის ღირებულების ტრაქტორი და გუთანი; გორის რწ. სოფ.ერედვის სკოლას 1,260 ლარის ღირებულების ერთი ერთეული ლეპტოპი. ზემოთჩამოთვლილი აქტივების გასვლა ასევე ასახულია ბალანსის შესაბამის დანართებში (დანართი #2; დანართი #5; დანართი#13).

დანართი N1. ინფორმაცია ორგანიზაციის აქტივების, ვალდებულებების ანგარიშებსა და საცნობარო მუხლებზე არსებული ნაშთების შესახებ

აქტივები	31.12.2017	31.12.2016
I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები		
ანგარიში მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსებისათვის	-	-
სხვა გადასახადები	-	-
მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	46,468	29,719
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	-	-
მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1,468	1,468
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	-	-
II. არაფინანსური აქტივები		
ფულადი დოკუმენტები	600	600
სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	-	-
არასაცხოვრებელი შენობები	988,717	92,683
სატრანსპორტო საშუალებები	90,240	118,016
სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	69,103	103,510
არამატერიალური ძირითადი აქტივები	2,548	3,407
ჯამი	1,199,144	349,403
ვალდებულებები და კაპიტალი		
III. ვალდებულებები		
საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	235	-
გადასახდელი სხვა გადასახდელები	-	-
წმინდა ღირებულება	1,198,909	349,403
ჯამი	1,199,144	349,403
საცნობარო მუხლები		
ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	1,731	1,731
ამორტიზებული ძირითადი აქტივები	362,965	236,445
ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	80,947	63,159
საბანკო გარანტიები	-	-

დანართი N2. ორგანიზაციის ანგარიში შემოსავლების და ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

	დამტკ. გეგმით	დაზუსტ. გეგმით	ვალდებულება	საკასო	ფაქტობრივი
1. შემოსავლები	-	-	-	-	753,263
1.2 გრანტები	-	-	-	-	748,455
2. ხარჯები	1,188,000	1,608,365	1,606,086	1,605,594	1,737,861
2.1 შრომის ანაზღაურება	700,000	700,000	700,000	699,890	699,890
2.1.1 ხელფასები	-	-	700,000	699,890	699,890
2.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	-	-	700,000	699,890	699,890
2.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	-	-	470,410	470,410	470,410
2.1.1.1.3 პრემია	-	-	51,920	51,810	51,810
2.1.1.1.4 დანამატი	-	-	177,670	177,670	177,670
2.2 საკონელი და მომსახურება	480,000	548,721	546,842	546,460	553,897
2.2.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	-	-	169,989	169,939	169,939
2.2.2 მივლინებები	-	-	108,655	108,454	108,454
2.2.3 ოფისის ხარჯები	-	-	55,711	55,711	62,913
2.2.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	-	-	48,187	48,156	48,391
2.2.7 ინვენტ, უნიფორმის და პირად ჰიგიენასთან დაკ. ხარჯ.	-	-	6,004	6,004	6,004
2.2.8 ტრანს. ტექნიკის მოვლა-შენახვის ხარჯი	-	-	98,310	98,210	98,210
2.2.10 სხვა დანარჩენი საკონელი და მომსახურება	-	-	59,986	59,986	59,986
2.3 მირითადი კაპიტალის მოხმარება	-	-	-	-	60,962
2.5 სუბსიდიები	-	213,644	213,576	213,576	196,828
2.6 გრანტები	-	-	-	-	80,616
2.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	-	-	-	-	74,548
2.6.3 გრანტები სხვა სახელმწიფო ერთეულებს	-	-	-	-	6,068
2.6.3.1 მიმდინარე	-	-	-	-	4,808
2.6.3.2 კაპიტალური	-	-	-	-	1,260
2.7 სოციალური უზრუნველყოფა	4,000	142,000	141,886	141,886	141,886
2.7.2 სოციალური დახმარება	-	-	138,000	138,000	138,000
2.7.2.1 ფულადი ფორმით	-	-	138,000	138,000	138,000
2.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	-	-	3,886	3,886	3,886
2.7.3.1 ფულადი ფორმით	-	-	3,886	3,886	3,886
2.8 სხვა ხარჯები	4,000	4,000	3,782	3,782	3,782
2.8.2 სხვადასხვა ხარჯები	-	-	3,782	3,782	3,782
2.8.2.1 მიმდინარე	-	-	3,782	3,782	3,782

დანართი N3 ორგანიზაციის ანგარიშში არაფინანსური აქტივებით ფაქტობრივი (საკასო) ოპერაციების შესახებ

არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	ფაქტობრივი(საკასო)
1. არაფინანსური აქტივების ზრდა	27,000	228,650	228,509	228,509
1.1 ძირითადი აქტივები			228,509	228,509
1.1.1 შენობა-ნაგებობები			201,903	201,903
1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები			201,903	201,903
1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			26,606	26,606
1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი			26,606	26,606
1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები			-	-
1.1.3.2.2 სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივები			-	-

დანართი N5 ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

არაფინანსური აქტივების დასახელება	მიღება				გასვლა					
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	გრანტები	სხვა შემოსავლებით	არასაოპერაციო ხარჯები	გრანტებით	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურებით	*სხვა გასვლები	ნაშთი წლის (პერიოდისთვის) ბოლოს
1. მატერიალური მარაგები	600	98,865	-	4,808	-	4,808	-	4,808	-	600
1.2 სხვა მატერიალური მარაგები	600	98,865	-	4,808	-	4,808	-	98,865	-	600
1.2.5 ფულადი დოკუმენტები	600	67,033	-	-	-	-	-	67,033	-	600
1.2.6 სათადარიგო ნაწილები	-	3,480	-	-	-	-	-	3,480	-	-
1.2.7 სხვა დარჩენილი მატერიალური მარაგები	-	28,352	-	4,808	-	4,808	-	28,352	-	-
2. ძირითადი აქტივები	317,616	228,509	741,253	-	-	75,808	60,962	-	-	1,150,608
2.1 შენობა-ნაგებობები	92,683	201,903	704,157	-	-	-	10,026	-	-	988,717
2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	92,683	201,903	704,157	-	-	-	10,026	-	-	988,717
2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	221,526	26,606	37,096	-	-	75,808	50,077	-	-	159,343
2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	118,016	-	-	-	-	-	27,776	-	-	90,240
2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	103,510	26,606	37,096	-	-	75,808	22,301	-	-	69,103
2.3 სხვა ძირითადი აქტივები	3,407	-	-	-	-	-	859	-	-	2,548
2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	3,407	-	-	-	-	-	859	-	-	2,548
3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	-	10,586	7,202	-	-	-	-	17,788	-	-

დანართი N7 ინფორმაცია მიზნობრივი გრანტების და მიზნობრივი დაფინანსების შესახებ

	უცხოურ ვალუტაში	ეროვნულ ვალუტაში	სულ თანხა ლარებში		
			გეგმა	ფაქტობრივი (საკასო)	დარიცხული
გრანტის მთლიანი მოცულობა	7,000	20,371	20,371	20,370	
მ.შ. მიღებული თანხა		20,371	20,371	20,370	
მ.შ. სულ დამტკიცებული მოცულობა		20,371	20,371	20,370	
ხარჯები			20,371	20,370	20,605
შრომის ანაზღაურება			-	-	-
საქონელი და მომსახურება			20,371	20,370	20,605

დანართი N8 ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში		საანგარიშო პერიოდის ბოლოს		საანგარიშო პერიოდში გაწეული ფაქტობრივი ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული დარიცხული ხარჯი			
	რაოდენობა	დირებულება	რაოდენობა	დირებულ ება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთებ ა	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგ ო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთებ ა	მ.შ. საწვავი	მ.შ. სათადარიგ ო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება	9	118,016	9	90,240	88,376	17,864	67,033	3,480	88,376	17,864	67,033	3,480
სულ:												
მსუბუქი ავტომობილები	5	68,964	5	57,937	26,291	4,247	22,044	-	26,291	4,247	22,044	-
„ჯიპები“ და „პიკაპები“	4	49,052	4	32,303	62,085	13,617	44,989	3,480	62,085	13,617	44,989	3,480

დანართი N9 ინფორმაცია ორგანიზაციების ანგარიშებზე რიცხული დებიტორული დავალიანებათა შესახებ

დასახელება	31.12.2016 დარიცხული დებიტორუ ლი დავალიანება	მათ შორის, წარმოშობის წლების მიხედვით				
	სულ	1996- 2005წ.	2010წ	2014წ	2016წ	2017წ
ს უ ლ	47,936	-	1,076	392	-	46,468
<i>გადასახდელები (წინასწარ, ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხებით წარმოქმნილი დავალიანებები)</i>	47,936	-	1,076	392	-	46,468
<i>სუბსიდიები</i>	46,468	-	-	-		46,468
მათ შორის, სხვა მოთხოვნები (გარდა საბიუჯეტო კლასიფიკაციით განსაზღვრული მუხლებისა)	1,468	-	1,076	392	-	-
დანაკლისი	1,468	-	1,076	392	-	-

დანართი N10 ინფორმაცია ორგანიზაციის ანგარიშებზე რიცხულ კრედიტორულ დავალიანებათა შესახებ

დასახელება	31.12.2017 წლისათვის რიცხული კრედიტორული დავალიანებები	წარმოშობის წელი
	სულ	2017
ს უ ლ:	235	2017
გადასახდელები	235	2017
საქონელი და მომსახურება	235	2017
წარმომადგენლობითი ხარჯები	235	2017

დანართი N11 ინფორმაცია დებიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში

ორგანიზაციის დასახელება	დებიტი თანხა	წარმ. თარიღი	წარმოშობის საფუძველი	მუხლი
შპს „გურჯისტანი“	23,108	01/05/2017	წინასწარი გადახდა	საქონელი და მომსახურება
შპს „ვრასტანი“	23,360	01/05/2017	წინასწარი გადახდა	საქონელი და მომსახურება
დანაკლისი	1,076	2010		
დანაკლისი	392	2014		

დანართი N12 ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ ორგანიზაციულ ჭრილში

ორგანიზაციის დასახელება	კრედიტი თანხა	წარმ. თარიღი	წარმოშობის საფუძველი	მუხლი
შპს „აჭარა ტური“	235	22/08/2017	ანგარიშ-ფაქტურა	საქონელი და მომსახურება

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE